



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მენტეშაშვილი სტეფანე ბაგრატის ძე

მენტეშაშვილი სტეფანე ბაგრატის ძე (1907, სოფ. ქვემო მაჩხაანი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 20. IV. 1965, თბილისი), ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1945), საქართვე. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1930). იყო საქართვე. სახელმწ. მუზეუმის ეთნოგრ. განც-ბის თანამშრომელი (1931), ისტ. განც-ბისა (1941–45) და ენათმეცნ. ინ-ტის ლექსიკოლოგიის განც-ბის გამგე (1951-იდან). მისი ხელმძღვანელობით საქართვე. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ 1938–39 სოფ. ძველ ანაგასთან (ახლანდ. სიღნაღის მუნიციპ.) აღმოაჩინა VI–VIII სს. ათი სამარხი. მ-ის სამეცნ. წერილებიდან აღსანიშნავია: „კალოობა ქიზიყში“ (1936), „კევრი“ (1936), „აჭარის ეთნოგრაფიული მასალები“ (1937), „ჰაემეტობა ინგილოურში“ (1939), „მიცვალებულთა დამარხვისა და სამარეების ტერმინოლოგიისათვის“ (1944). მან შემოიღო ტერმინი „სამაროვანი“. მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ტ. 1–8, 1950–64) მომზადებაში (VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორი), რისთვისაც სხვა რედაქტორებთან ერთად მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია.

თხზ.: ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

ა. არაბული
